



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 12

ქ. გარდაბანი

26/01/2022

12-06-4-202201261848



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების: ავთანდილ ბიძინაშვილის, გიორგი ქაცანაშვილისა და მწვრთნელის გურამი ცალუღელაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 20 იანვრის N10 და 2022 წლის 20 იანვრის N11 წერილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების **ავთანდილ ბიძინაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი, **გიორგი ქაცანაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 800 (რვაასი) ლარი და **მწვრთნელის - გურამი ცალუღელაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 520 (ხუთას ოცი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხების დარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

ავთანდილ ბიძინაშვილი – 600 (ექვსასი) ლარი, 3/5

გიორგი ქაცანაშვილი – 800 (რვაასი) ლარი, 3/5

გურამი ცალუღელაშვილი – 520 (ხუთას ოცი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

